

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

--აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



გიორგი ღვინიაშვილი

(1985 – 2008)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლი, კაპრალი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი.

დაიბადა 1985 წლის 17 ივლისს.

მისი ოცნება იყო ჯარისკაცი გამხდარიყო. აიხდინა კიდეც. წოდებით კაპრალი, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მძღოლად მუშაობდა მეხუთე სატანკო ბრიგადაში.

2008 წლის 7 აგვისტოს მის წინ მიმავალი ტყვია-წამლით დატვირთული მანქანა აფეთქდა. ის ამ მანქანაში მსხდომი ბიჭების გადასარჩენად გაიქცა, თუმცა აღმოდებულ მანქანასთან მიახლოებისას მეორე აფეთქებამ 23 წლის კაპრალი, გიორგი ღვინიაშვილი იმსხვერპლა.